



რიჩარდ იეიტსი

სააღდგომო ჩვენება

ახერიპალები | ლროვნერი

რიჩარდ იეიტსი
სააღმომო ჩვენება

Richard Yates
THE EASTER PARADE

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ
სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია

© 1976, Richard Yates
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-507-3

www.diogene.ge

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ საუკეთესო პროზაიკოსად აღიარებული ამერიკელი მწერლის, რიჩარდ იეიტსის (1926-1992) რომანი „საალდგომო ჩვენება“ მკითხველთა და კრიტიკოსთა სამართლიან გაოცებას იწვევს – თავისი უჩვეულოდ ძუნნი, ლაკონიური და, ამავე დროს, საოცრად ტევადი თხრობის სტილის წყალობით ამ არცთუ სქელტანიან წიგნში მწერალი ერთი ოჯახის თითქმის სამი თაობის ბედ-ილბლის თანაზიარად გვაქცევს. ეს სევდიანი საგა მოგვითხრობს იმაზე, რომ ამ ცხოვრებაში არც ერთი გზის არჩევა ბედნიერების უპირობო საწინდარი არ არის და არც შეიძლება იყოს...

ეძღვნება ჯინა ქეთერინს

ნაწილი პირველი

თავი 1

ჩები გრაიმზებიდან, წესით, ბედნიერი ცხოვრება არც ერთს არ უნდა ჰქონოდა და დროის გადასახედიდან მუდამ ისე ჩანდა, რომ ყველაფერი მათი მშობლების განქორნინებამ არივ-დარია. ეს ამბავი 1930-ში მოხდა, როცა სარა ცხრა წლისა იყო, ემილი კი – ხუთის. დედამ, რომელიც გოგოებს სთხოვდა, „ჭინკა“ დამიძახეთო, შვილები ნიუ-იორკიდან წაიყვანა და ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ტენაფლაში იქირავა სახლი, სადაც, მისი აზრით, უკეთესი სკოლები უნდა ყოფილიყო, და თავადაც იმედოვნებდა საქმის გამოქებნას უძრავი ქონების სფეროში. აქედან არაფერი გამოვიდა – როგორც მის მიერ დამოუკიდებლად მიღებული ბევრი სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში – და იქაურობის მიტოვებაც სულ რაღაც წელიწად-ნახევარში მოუხდათ. თუმცა კი იქ გატარებული დრო გოგოებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ.

„მამათქვენი საერთოდ არ მოდის ხოლმე სახლში?“ – ეკი-თხებოდნენ დებს სხვა ბავშვები და სარაც თავის თავზე იღებდა იმის ახსნას, რას ნიშნავს სიტყვა განქორნინება.

„არც თქვენ დადიხართ იმის სანახავად?“

„კი, როგორ არა“.

„და სად ცხოვრობს?“

„ნიუ-იორკში“.

„იქ რას აკეთებს?“

„საგაზეთო სათაურებს წერს, სანისთვის“.

ამას ისეთი ხმით იტყოდა ხოლმე, ეჭვიც არ ეპარებოდა, მეგობრებზე ამას გვარიანი შთაბეჭდილება რომ უნდა მოეხდინა. ღიპიან, უპასუხისმგებლო რეპორტიორობას, ანდა ხელმოცარულ კალმოსნობას, ნებისმიერი მოახერხებდა, მაგრამ სათაურების მოფიქრება-მისადაგებას – ნურას უკაცრავად. ჯერ მარტო ამდენი ახალი ამბისთვის უნდა მიგედევნებინა თვალი, იქიდან ყველაზე საჭირობოროტო ამოგერჩია და მერე ყველაფერი ეს რამდენიმე ზუსტად მონახულ სიტყვაში ჩაგეტია! ამას მხოლოდ გამოჯეკილი უურნალისტი და სახელდაგ-დებული კაცი თუ მოახერხებდა.

ერთხელ, როცა გოგონები ქალაქში ესტუმრნენ, გაზეთის რედაქციაშიც წაიყვანა და ყველაფერი დაათვალიერებინა.

– დილის ნომერი საცაა ჩამოსაბეჭდად წავა, – უთხრა. – ახლა მოდი სტამბაში ჩავიდეთ და ყველაფერი ჩვენი თვალით ვნახოთ. მერე ზემოთაც აგიყვანთ, პრესცენტრში.

რკინის კიბეზე ჩაუძლვა, რომელსაც მელნისა და სალება-ვის სუნი უდიოდა; იქიდან დიდ, მიწისქვეშა ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც საბეჭდი დაზები ჩაემწერივებინათ. ირგვლივ სტამბის მუშები ირეოდნენ. თავზე ყველას დაკეცილი გაზე-თები მოერგო, უცნაურზე უცნაურ ქუდებად.

– ეგთი ქუდები რატო ახურავთ? – დაეკითხა მამას ემილი.

– თავად გეტყოდნენ, თმა მელნით რომ არ დაგვესვა-როსო, მაგრამ ასე მგონია, უბრალოდ უნდათ, კაი ტიპებად გამოჩნდნენ.

- ეგ კაიტიპი რას ნიშნავს?
- აი, რაღაც, მაგ შენს დათუჩიასნაირს, – უთხრა მამამ
და გულზე დაბნეულ დათუნიაზე მიუთითა, რომელიც გოგოს
საგანგებოდ შეერჩია იმ იმედით, მამა უთუოდ შეამჩნევსო. –
მართლა ძაან კაი ტიპია, ნამდვილად.

უცქერდნენ, კონვეიერზე როგორ მოსრიალებდნენ დატ-
ვიფრული, ახლად საღებავნასმული ლითონის ფირფიტები და
თავ-თავის ადგილს იყავებდნენ საროტაციო დოლურებზე. მე-
რე ზარის ხმა გაისმა და წნეხებიც ამუშავდა; იატაკმა რყე-
ვა იწყო და ისეთი ხმაური ატყდა, ერთმანეთის უკვე აღარც
ესმოდათ, მხოლოდ ღიმილით მისჩერებოდნენ მამას, ემილიძ
ხელებიც კი აიფარა ყურებზე. საბეჭდი დაზგები ნაბეჭდი ქა-
ლალდის თეთრ ფურცლებს აფრქვევდნენ ყოველ წამს და გა-
ზეთის მზა ნომრებიც მკაცრი თანამიმდევრობით ლაგდებოდა
კოხტა დასტებად.

- აბა, რას იტყვით? – დაეკითხა გოგონებს უოლტერ გრა-
იმზი, როცა უკვე ისევ ზემოთ მოუყვებოდნენ რკინის კიბეს. –
ახლა ჩემს განყოფილებაშიც შევიხედოთ.

დიდ ოთახში უამრავი მაგიდა იდგა, რომელსაც კაცები
მისხდომოდნენ და საბეჭდ მანქანებს უკაკუნებდნენ. აი, აქ
ვამზადებთ გაზეთის ყოველ ნომერს, – თქვა მამამ. რედაქტო-
რი კი აი, ის მელოტი კაცია, ტელეფონზე რომ ლაპარაკობს;
მის გვერდით რომაა, ის კიდევ უფრო დიდი ვინმე – უფროსი
რედაქტორია.

- შენი მაგიდა რომელია, მამა? – ჰკითხა სარამ.
- აგე ის, სულ განაპირა... ხედავ? – უთხრა და დიდ, ყვი-
თელი ფერის ხის მრგვალი მაგიდისკენ მიუთითა. იქ ექვსნი
ისხდნენ, ერთი კი სულაც ზედ ჩამომჯდარიყო. ყველანი რა-
ღაცას კითხულობდნენ, ანდა ფანქრით ასწორებდნენ ნაწერს.

– რა, მათთან ერთად წერ ხოლმე სათაურებს?

– ჩემი საქმე მარტო სათაურების წერა არ გახლავთ, ქალბატონო. სინამდვილეში, როცა უურნალისტები და რეპორტიორები თავ-თავიანთ ამბებს გაამზადებენ, შიკრიკს გამოატანენ ხოლმე ჩვენთან – აი, იმ ახალგაზრდა ბიჭს; მერე ჩვენ მართლწერასა და პუნქტუაციას გავასწორებთ, სათაურებსაც შევურჩევთ და მასალაც დასაბეჭდად მზადაა... გამარჯობა, ჩარლი! – მიესალმა რომელიღაც თანამშრომელს, წყლის ჩამოსასხმელი ავტომატისკენ რომ მიეშურებოდა. – ჩემი გოგონები უნდა გაგაცნო: ეს სარაა, ეს კი ემილი.

– სასიამოვნოა, სასიამოვნო... – წელში მოიხარა ისიც. – ეს რა მზეთუნახავი გოგონები გყოლია! გამარჯობათ, პატარებო.

მერე ტელეტაიპის ოთახშიც შეიხედეს, სადაც ახალი ამბები მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან მოდიოდა, იქიდან კი მბეჭდავთა განყოფილებას მიაშურეს. აქ უკვე ქაღალდზე გადაჰქონდათ ცნობები და მერე გაზეთის მაკეტში სვამდნენ.

– აპა, მზად ხართ სადილისთვის? – იკითხა მამამ. – ჯერ ქალების ოთახში ხომ არ გინდათ შერბენა?

გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. გარეთ რომ გამოვიდნენ, მამამ გოგოებს ხელი ჩაჰუდა და ასე გაემართნენ მერიის წინ გადაშლილი პარკისკენ. ორივეს თავიანთი საუკეთესო კაბები ჩაეცვათ, ზემოდან – მსუბუქი პალტოები, ფეხზე კი თეთრი წინდები და შავი, ხელოვნური ტყავის ფეხსაცმელები. მართლაც რომ ავ თვალს არ დაეწახვებოდნენ. სარა შავგვრემანი გახლდათ და სახეზე ის გულწრფელი მიამიტობა ეწერა, რაც მერეც, სამუდამოდ შერჩებოდა. მთელი თავით მასზე დაბალ ემილის ქერა თმა ჰქონდა, უფრო ტანთხელი იყო და ძალზე ფიქრიანი.

– ეს ჩვენი მერიის შენობა დიდიც ვერაფერია, არა? – თქვა უცებ უოლტერ გრაიმზმა. – მაგრამ, აი, იმ დიდ, მუქწითელ სახლს თუ ხედავთ, ხეებს იქით? ეგ კი უორლდის რედაქციაა... უფრო სწორად, იყო – შარშან დაიხურა. არადა ამერიკის უმსხვილესი ყოველდღიური გაზეთი ეთქმოდა.

– ახლა კი საუკეთესო შენი სანია, არა? – ჰკითხა სარამ.

– არა, საყვარელო... მართალი გითხრა, სანიც დიდი ვერაფერი ხვითოა.

– ეგ როგორ?! – სარას აშკარად წაუხდა გუნება.

– ცოტა რეაქციულია.

– ეგ რას ნიშნავს?

– რას ნიშნავს და, მეტისმეტად კონსერვატიულს. მთლად რესპუბლიკელებს უგორებს კოჭს.

– ჩვენ რა, რესპუბლიკელები არა ვართ?

– ალბათ, დედათქვენი... მე არა.

– არ ვიცოდო.

მამამ სადილამდე ორი ჭიქა კოტეტეილი დალია, გოგოების-თვის კი უალკოჰოლო ლუდი მოატანინა. მერე, როცა შემწვარ კუნტაკურ წინილასა და კარტოფილის პიურეს შეექცეოდნენ, ემილიმ რედაქციიდან წამოსვლის შემდეგ პირველად ამოილო ხმა:

– თუ სანი არ მოგწონს, მაშინ იქ რატომლა მუშაობა?

მამას თავის გრძელ, გამხდარ სახეზე, რომელიც გოგონებს მუდამ ძალიან მიმზიდველად ეჩვენებოდათ, ერთგვარი დაღლილობის კვალი დაეტყო.

– სამსახური მჭირდება და იმიტო, ჩემო პატარა! – თქვა მერე. – დღეს სამუშაოს შოვნა გაძნელდა. გამორჩეული ვინმე რომ ვიყო, ეგებ მაგაზე არც მედარდა, მაგრამ თქვენც ხომ იცით, ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვარ.

ამით ცხადია, ახალ მეგობრებთან თავს ვეღარ მოიწონებ-დნენ, მაგრამ თუკი იტყოდნენ – მამაჩვენი საგაზეთო სათა-ურებს იგონებსო, ტყუილში ხომ მაინც არ ჩამოერთმეოდათ.

„შენ თუ გგონია, სათაურების წერა იოლი საქმეა, ძა-ლიანაც შემცდარხარო!“ – მიახალა კიდეც ერთ აბეზარ ბიჭს სკოლის ეზოში, გაკვეთილების შემდეგ. ემილიმ კი, ვისაც ყვე-ლაფერში სიზუსტის დაცვა სჩვეოდა, დას მაინც შეახსენა – სინამდვილეში მამაჩვენი ხომ ერთი ჩვეულებრივი უურნალის-ტიაო; ოღონდ მხოლოდ მას მერე უთხრა, როცა ის ბიჭი უკვე ვეღარ გაიგონებდა.

ესთერ გრაიმზი, იგივე „ჭინკა“, ერთი ტანმორჩილი, ვერ-ცხლისწყალივით მოძრავი ქალი გახლდათ, რომელსაც მთელი ცხოვრება თითქოს იმ მოუხელთებელი ნიშან-თვისებების შე-ძენისა და შენარჩუნებისთვის მიეძღვნა, რასაც თავად პენს უწოდებდა: ერთთავად მოდის უურნალებს ჩაჰკირკიტებდა, გემოვნებით იცვამდა და ვარცხნილობასაც ხშირ-ხშირად იც-ვლიდა, თუმცა თვალებში მუდამ დაბნეულობა ჩაბუდებოდა და ვერც ტუჩებზე პომადის სწორად წასმა ესწავლა, რაც მას გაუბედავისა და საკუთარ თავში დაეჭვებულის იერს აძლევდა. იმ თავის პენიანობასაც უფრო მდიდრებში ხედავდა, ვიდრე სა-შუალო ფენის ხალხში და, შესაბამისად, გოგოების ალზრდასაც მათ თარგზე ცდილობდა. სამეზობლოსაც ყოველთვის შესაფე-რისს ეძიებდა ხოლმე – „კარგ ხალხში“ გარევას ესწრაფოდა, იმისდა მიუხედავად, უწყობდა საამისოდ ჯიბე ხელს თუ არა, და ეტიკეტის დაცვასაც გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

– საყვარელო, ძალიან დამავალებ, თუკი ასე აღარ მოიქ-ცევი, – უთხრა სარას ერთ დილას, საუზმობისას.

– როგორ „ასე?“

– როგორ და გახუბულ პურს მაგნაირად აღარ ჩააწობ რძეში.

– უიმე! – შეიცხადა სარამ, მერე კარაქნასმული პურის უკვე რძეში ჩანობილი ნაჭერი პირისკენ გააქანა და როცა გა- ლეჭილი ლუკმაც ჩაყლაპა, მერედა დაეკითხა, მაინც რატომო.

– რატომ და იმიტომ! ულამაზოა. აი, ემილი მთელი ოთხი წლით შენზე პატარაა და ისიც კი არ იქცევა ასე ბავშვურად!

ესეც კიდევ ერთი მუდმივი თემა გახლდათ: დედა ათასი გზითა და საშუალებით მიანიშნებდა, რამდენად მეტი პენია- ნობა ეტყობოდა ემილის სარასთან შედარებით.

როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ტენაფლას უძრავი ქო- ნების სფეროში წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა, ახლა მომიჯნავე პატარ-პატარა ქალაქებსა თუ სულაც ნიუ-იორქში მთელდღიან მიმოსვლებს მოუხშირა, გოგოებს კი ხან ერთ ახ- ლობელ ოჯახს უტოვებდა და ხან – მეორეს. როგორც ჩანს, სა- რას დედის ხანგრძლივი არყოფნა დიდად არ ანალვლებდა, ემი- ლი კი სულ სხვა აზრზე იდგა: არ ეპიტნავებოდა სხვის ჭერქვეშ შეხიზვნა, იქაური სუნებიც აღიზიანებდა, საჭმელსაც კი ვერ ჭამდა ხეირიანად, მთელი დღე შფოთავდა, ათასნაირ უბედურ შემთხვევას წარმოისახავდა ხოლმე და როცა დედამისი თუნდაც ერთი-ორი საათით დააგვიანებდა მათ წამოსაყვანად მისვლას, მართლა პატარა ბავშვივით გულამოსკვნილი ზლუქუნებდა.

ერთხელაც, გვიან შემოდგომაზე, ვინმე კლარკების ოჯახ- ში მოუწიათ დარჩენა. შინიდან თავ-თავიანთი თოჯინებიც გააყოლეს ხელს – იმ შემთხვევისთვის, თუკი მასპინძლის ბავ- შვები გულს არ გაუწყალებდნენ, რაც სრულიად სავარაუდო ჩანდა, რაკი კლარკებს სამი ბიჭი ჰყავდათ და თოჯინებსაც დიდად არ დახარბდებოდნენ. თუმცა გულისხმიერმა ქალბა- ტონმა კლარკმა უფროს ვაჟს, მაირონს ჩააბარა სტუმრები

და ხაზგასმით მოსთხოვა – იცოდე, ყურადღება არ მოაკლო, კარგი მასპინძლობა გაუწიეო. თერთმეტი წლის მაირონიც და-ვალებას სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა და მთელი დღე გოგონების გართობას ცდილობდა.

– აბა ერთი ამას შეხედეთ! – იმეორებდა წამდაუწუმ. – აბა ახლა ესეც ნახეთ!

კალარკების უკანა ეზოს შორეულ ბოლოში ფოლადის სად-გამებზე ფოლადისავე მილი დაედულებინათ და მაირონი მარ-თლაც კარგად განაფულიყო ტანვარჯიშში: გაექანებოდა ამ სახელდახელო ხარიხისაკენ, აიზიდებოდა, მერე მუხლებით ჩამოეკიდებოდა ზედ და ერთი ხანობა ასე ეკიდა, თავქვე; მე-რე ისევ ჩაავლებდა ორივე ხელს, ერთს დატრიალდებოდა და ისევ მინაზე ხტებოდა, ტერფებმიტყუპებული.

მერე იყო და, ძმები და სტუმარი გოგონები ომობანას რაღაც ჩახლართულ თამაშშიც აიყოლია, რის შემდეგაც ისევ შინ შებრუნდნენ, მარკების კოლექციის დასათვალიერებლად. ესეც რომ მოითავსეს და კვლავ ეზოში გაიკრიფნენ, როგორც აღმოჩნდა, გასართობი ბევრი არც აღარაფერი დარჩენოდათ.

– დაიცათ, – თქვა მაირონმა. – სარა ზუსტად იმსიმალ-ლეა, გამართული გაივლის ამ ხარიხის ქვეშ!

მართალს ამბობდა: გოგოს სულ რაღაც ორიოდე გოჯი თუ უკლდა იქამდე.

– მოვიფიქრე, რაც უნდა ვქნათ! – თავისი გააგრძელა მაირონმა. – მოდი, სარა მთელი ძალით გამოექანოს და ისე გაირბინოს ხარიხის ქვეშ... მაგარი იქნება!

გამორბენის მანძილიც იქვე გადათვალეს – ასე, ოცდაა-თიოდე ნაბიჯი. დანარჩენები გვერდზე გადგნენ, სარა კი თავ-ქუდმითგლევილი გაექანა, გრძელ თმას ქარი უფრიალებდა. ერთი ეგ იყო, არავინ იფიქრა, რომ სირბილისას გოგო – ერთ

ადგილას უძრავად მდგართან შედარებით – უფრო მაღალი იქნებოდა და როცა ეს ემილიმაც კი იაზრა, უკვე გვიანდა იყო – ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. სარა შუბლით შეასკდა რკინას – ისეთი ხმით, რაც ემილის თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. დ-ნნნ! – გაისმა და აწივლებული, სისხლით სახემოთხვრილი გოგო უკვე მინაზე გორავდა.

ემილი და ძმები კლარქები სახლისკენ გაცვივდნენ; ემილი ისეთი შეშინებული იყო, გზაში ცოტა გაეპარა კიდეც. სარას დანახვაზე, ერთი პირობა მისის კლარკიც დაიზაფრა, მაგრამ მერე უცებვე გაახვია საბანში (არაერთხელ სმენოდა, უბედური შემთხვევის მსხვერპლი ზოგჯერ შოკში ვარდებაო) და მანქანით საავადმყოფოში გააქანა. ემილი და მაირონიც თან გაიყოლა. იმ დროისათვის სარა უკვე აღარ ტიროდა – საერთოდ არ სჩვეოდა ხშირად ტირილი. ემილიმ კი სწორედ მაშინ ამოუშვა ზლუქუნი. საავადმყოფომდე არ გაჩუმებულა და იქაც ცრემლად იღვრებოდა, მოსაცდელში. მისის კლარკი სამჯერ გამოვიდა მიმღებიდან და ჯერ უთხრა – მოტეხილობა არ აქვსო, მერე – ტვინის შერყევასაც გადავრჩითო, ბოლოს კი – შვიდი ნაკერის დადება დასჭირდათო.

როცა შინ დაბრუნდნენ (მისის კლარკი მთელი გზა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ასეთი ყოჩალი გოგო ჯერ არ მინახავს – ერთი არ დაუწუნუნიაო), სარა ჩაპნელებულ სასტუმრო ოთახში დააწვინეს ტახტზე. შეშუპებული სახე ერთიანად ჩალურ-ჯებოდა, შუბლი კი შეხვეული ჰქონდა და სახვევზეც ზემოდან პირსახოცში გამოხვეული ყინულის ნატეხი ედო. ბიჭებმა ისევ ეზოს მიაშურეს, ემილი კი ცოცხალი თავით არ აპირებდა სასტუმრო ოთახიდან გამოსვლას.

– აცალე შენს დას, მოისვენოს... ნადი, ბიჭებთან ითამა-შე, საყვარელო. – უთხრა მისის კლარკმა.

– არა უშავს, დარჩეს, – სარას რაღაც უცნაური, თითქოს შორიდან მომავალი ხმა გახდომოდა.

მოკლედ, ემილის ოთახში ყოფნის ნება მისცეს და ეს, ალბათ, ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაც იყო, რადგან ძალით გაყვანას თუ დაუპირებდნენ, ალბათ ტლინკების კვრასაც კი არ დაერიდებოდა. იდგა ახლა ტახტის შორიახლოს, რაღაც მასინჯ ნოხზე და სველ მჯიდს ლოლნიდა კბილებით. უკვე ალარ ტიროდა. ჩუმად მისჩერებოდა ბინდბუნდში ტახტზე მიწოლილ დას, გულს კი მწარე დანაკარგის განცდა უწურავდა.

– ნუ გეშინია, ემი, – ისევ თითქოს საიდანლაც შორიდან შეეხმიანა სარა. – ცუდად არა ვარ. თან საცაა, დედაც მოვა...

ბედზე, სარას თვალი არ დაზიანებია. არადა სწორედ ის დიდი, მუქი თაფლისფერი თვალები გამოარჩევდა მის სახეს, დროთა განმავლობაში რომ მართლაც მშვენიერი გაუხდებოდა; ოღონდ ეგაა, შუბლზე სამუდამოდ შერჩებოდა ის ნვრილი, მოლურჯო ნაწიბური, რაც თითქოს ვისიმე გაუბედავი ხელით ფანქრით გავლებულ ხაზს მოგაგონებდათ. მის შეხედვაზე ემილის მუდამ ახსენდებოდა ხოლმე, რა გმირულად ითმენდა და იტანდა ტკივილს მისი დაიკო; და კიდევ – იმ საკუთარ, დამზაფრავ შიშსაც აგონებდა და მარტოდ დარჩენის აუხსნელ წინათგრძნობასაც.